საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-18/129

ქ. ბათუმი 29 ივლისი, 2019 წ.

ბუს-ს 2019 წლის სტუდენტური საგანმანათლებლო პროექტის „ლიბერრუმი" ხელმძღვანელისა და კოორდინატორისათვის პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის გაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N 02 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის N01-08/39 ბრძანების, „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების საბიუჯეტო კლასიფიკაციისა და გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობების განსაზღვრის თაობაზე" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 16 აპრილის N01-11/51 ბრძანების, „2019 წლისათვის ბსუ-ს სტუდენტური სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების მიღების გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 27 ნოემბრის N01-08/171 ბრძანების, ,,ბსუ-ს 2019 წლის სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ" ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ/შ 2019 წლის 04 აპრილის №01-10/42 ბრძანების, საგანმანათლებლო პროექტის "ლიბერრუმი"-ს ხელმძღვანელის, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სამართალმცოდნეობის პირველი სასწავლო წლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ ბაჩუკი ფარტენაძის 2019 წლის 11, 12 და 22 ივლისის N938514, N945125, №975021 განცხადებებისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების წამყვან სპეციალისტ გოჩა სურგულაძის 2019 წლის 23 ივლისის MES 0 19 00978043 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ბსუ-ს 2019 წლის სტუდენტური პროექტების" კონკურსში გამარჯვებული საგანმანათლებლო პროექტის „ლიბერრუმი"-ის ხელმძღვანელზე და კოორდინატორზე გაიცეს ბიუჯეტით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება:

   ა) პროექტის ხელმძღვანელს ბაჩუკი ფარტენაძეს - 600 (ექვსასი) ლარი;

   ბ) პროექტის კოორდინატორს ზურაბ პაპუნიძეს 400 (ოთხასი) ლარი.

2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, ბაჩუკი ფარტენაძეს, ზურაბ პაპუნიძეს (უზრუნველყოს ჩაბარება სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა).
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ალექსანდრე მითაიშვილი